



ENG | RUS

Search bar with 'გეგნა' button and a checkmark icon

ბუთშაბათი, 23 მაისი, 2013 წელი 15:41:29

- მთავარი | კატეგორიები | მულტიმედია | ჩვენს შესახებ | კონტაქტი | პარტნიორები | TV | ოქროს ფონდი

### დღეს კლიმატის ცვლილებისადმი მიძღვნილი კვირეული გაიხსნება

თბილისი 09:08 - 24.10.09 "ჯი-ეიჩ-ენი"

Social media icons (Facebook, Twitter, YouTube, Google+, etc.) and text: ამობეჭდვა 1812 ზომა: T-T+

დღეს, 24 ოქტომბერს, კლიმატის ცვლილებისადმი მიძღვნილი კვირეული დაიწყება. კვირეული იხსნება 11:40 საათზე, საქართველოს პარლამენტის წინ, თბილისობის დღესასწაულის პარალელურად. კვირეულს გახსნაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, ელჩი პერ ეკლუნდი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გოგა ხაჩიძე.

კვირეულის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებებში საქართველოს მწვანეთა მოძრაობასთან ერთად ჩართულები არიან არასამთავრობო ორგანიზაციები: ეკოლაინსი, კავკასიის ეკოლოგია, CEEN, მწვანე ალტერნატივა, საქართველოს ენერჯოეფექტურობის ცენტრი, გარემოსდაცვითი კვლევების ცენტრი, "ელკანა", გარემოსმცოდნეობისა და სამოქალაქო აღზრდის ცენტრი "გაია", წყლის გლობალური პარტნიორობა-საქართველო, საქართველოს ახალგაზრდა მწვანეები, დემოკრატიის განვითარების ახალგაზრდული ცენტრი, გარემოს დაცვის ასოციაცია "დედამიწა-XXI საუკუნეში". ასევე, გარემოსდაცვის სამინისტრო, თბილისის მერია და ქალაქის საკრებულო.

კვირეულის ფარგლებში 27-28 ოქტომბერს დაგეგმილია კონფერენციის გამართვა.

დეკემბერში ქ. კოპენჰაგენში იმართება კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მხარეთა მე-15 კონფერენცია, სადაც განიხილება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხები მსოფლიო მასშტაბით. კოპენჰაგენის კონფერენციასთან დაკავშირებით მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში დაგეგმილია კლიმატის ცვლილებისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიება. მათ შორის საქართველოში, სადაც ევროკომისიის წარმომადგენლობის მხარდაჭერით იმართება კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მხარეთა 15-ე კონფერენციისადმი (COP-15) მიძღვნილი კვირეული. რომელსაც ორგანიზებას უწევს საქართველოს მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრები - საქართველო.

### მასალის გამოყენების პირობები

მომწონს Be the first of your friends to like this.

ამავე კატეგორიიდან:

10.00.12 21.14 საქართველოს წარმოადგენლობის მხარდაჭერით "ეკოლაინსი" იმართება

